

კომპლექსური დავალების ბარათი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

ძირითადი რესურსი: რ. ინანიშვილის „ჩიტების გამომზამთრებელი“

(დამატებითი ტექსტი/ფილმი - საინფორმაციო ტექსტი „21-ე საუკუნის საუკეთესო სცენარი“, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზუზუ“).

თემა: ოჯახური ურთიერთობები

შესაძლო დამატებითი თემატიკა: ადამიანი და ბუნება, საავტორო უფლებები.

კლასი: VII-VIII-IX

ცნება - ჟანრი. მკვიდრი წარმოდგენები:

(შედეგები: 1, 3, 7)

- ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.
- ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად.

ცნება - კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. მკვიდრი წარმოდგენები:

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

- ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.
- ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.
- ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;
- მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

ქვეცნებები:

- პიესა;
- ძირითადი საკითხი/პრობლემა;
- მხატვრული კონფლიქტი;
- დიალოგი/მონოლოგი;
- პერსონაჟი - მთავრი და არამთავარი პერსონაჟ(ებ)ი, პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო (ფასეულობები, შეხედულებები, ემოციები), მეტყველება; პიროვნული მახასიათებლები, ურთიერთობები/დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟებთან ან/და პირიქით;
- საავტორო უფლებები;
- ინტელექტუალური საკუთრება.

საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:

- როგორ გამოვიყენო/წარმოვაჩინო პიესის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?
- რა და როგორ შეიცვლება ტექსტში პერსონაჟის ქცევის ცვლილებით, ან ახალი პერსონაჟის შემოყვანით? რა არ შეიცვლება?
- როგორ წარმოვაჩინო პიესაში პერსონაჟები, მათი ქმედებები, ფიქრები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთდამოკიდებულებები?
- რატომ უნდა დავიცვა ნორმები საავტორო უფლებების შესახებ?

კომპლექსური დავალების პირობა

საკითხი: რ. ინანიშვილის პიესის „ჩიტების გამომზამთრებელი“ სცენარის გაგრძელება მინიშნებებზე დაყრდნობით.

დავალება: პიესის სცენარის გაგრძელება

წაკითხე რ. ინანიშვილის პიესა „ჩიტების გამომზამთრებელი“ და განაგრძე სცენარი წერილობით.

სცენარის ახალ ეპიზოდში:

- განმუხტე ოჯახში არსებული კონფლიქტი;
- შეცვალე პერსონაჟების ფიქრები, ქცევა, ემოცია, მეტყველება, დამოკიდებულებები;
- შემოიყვანე ახალი პერსონაჟი/პერსონაჟები;
- წარმოაჩინე რა დიალოგები გაიმართებოდა მათ შორის;
- სწორად დასვი სასვენი ნიშნები.
- გაითვალისწინე პიესის დამახასიათებელი სტილი.

შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რატომ გადაწყვიტე სცენარის ასე გაგრძელება, რა მინიშნებებსა და ცოდნა-გამოცდილებას დაეყრდენი (ჟანრი, კომპოზიცია);
- რით უკავშირდება შენ მიერ შექმნილი ეპიზოდი პიესას, მის მთავარ სათქმელს (ჟანრი, კომპოზიცია);
- რა ხერხებით გამოკვეთე პერსონაჟების შეცვლილი დამოკიდებულებები (კომპოზიცია);
- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნაშრომი პიესას (ჟანრი);
- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ მიერ შექმნილი ეპიზოდი ორიგინალურია (ჟანრი, კომუნიკაცია, ენობრივი).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- გქონიათ განცდა, რომ უახლოეს ადამიანებსაც კი არ ესმით თქვენი, არ გისმენენ, სერიოზულად არ აღიქვამენ თქვენს ნათქვამს? რას განიცდიდით ამ დროს?
- როგორ ფიქრობთ, რატომ უპირისპირდებიან ახლობელი ადამიანები ერთმანეთს, რატომ არ ესმით ერთმანეთს?
- რა სპექტაკლი, ფილმი, ანიმაცია გინახავთ, სადაც პერსონაჟები უპირისპირდებიან ერთმანეთს?
- როგორ მოგვარდა ან სულაც არ მოგვარდა კონფლიქტი? როგორ განვითარდა მოვლენები?
- თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? თქვენ როგორ მოიქცეოდით?
- ვინ და რატომ ქმნის სპექტაკლის, ფილმის, ანიმაციის სცენარებს?
- თქვენ თუ შეგიქმნიათ სცენარი, სცენარის ეპიზოდი?
- რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

რესურსები/აქტივობები:

- რესურსი 1. რ. ინანიშვილის „ჩიტების გამომზატრებელი“ - დანართი 1;
რესურსი 2. სიუჟეტის განვითარების სქემა „თავიდან-მერე-ბოლოს“ - დანართი 2;
რესურსი 3. პერსონაჟის რუკა - დანართი 3.

- აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა პაუზებად;
აქტივობა 2. სიუჟეტის განვითარებაზე დაკვირვება „თავიდან-მერე-ბოლოს“;
აქტივობა 3. პერსონაჟების დახასიათება (შეავსონ პერსონაჟის რუკა - როგორ გამოიყურება, რას გრძნობს, რაზე ფიქრობს, რას აკეთებს, როგორ იქცევა, რა სურს).

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორია ოჯახის წევრების ცხოვრების წესი, რა არის მათი მთავარი საზრუნავი?
- ჩანს თუ არა ტექსტში ისეთი რამ, რაც უჩვეულო იქნებოდა ამ გარემოსთვის?
- როგორია დედა? მამა?
- როგორია შვილი?
- თქვენი აზრით, რატომ არ აქვს ბიჭს სწავლის სურვილი?
- რით პასუხობენ პერსონაჟები წარმოქმნილ პრობლემას? როგორ იცვლებიან, ან არ იცვლებიან ამის შედეგად?
- რა არის მწერლის მთავარი სათქმელი?
- რაზე გვაფიქრებს, რას შეგვახსენებს ეს ნაწარმოები?

ნაბიჯი 2: რატომ გადაწყვიტე სცენარის ასე გაგრძელება? რა მინიშნებებსა და ცოდნა-გამოცდილებას დაეყრდენი (ჟანრი, კომპოზიცია)?

რით უკავშირდება შენ მიერ შექმნილი ეპიზოდი პიესას, მის მთავარ სათქმელს (ჟანრი, კომპოზიცია)? რა ხერხებით გამოკვეთე პერსონაჟების შეცვლილი დამოკიდებულებები (კომპოზიცია)?

რესურსები/აქტივობები:

- რესურსი 1. სიუჟეტისა და კონფლიქტის ანალიზის სქემა - დანართი 4;
რესურსი 2. გამომხმარებელი წაკითხულ ტექსტზე - დანართი 5.

- აქტივობა 1. სიუჟეტისა და კონფლიქტის ანალიზი, ავტორის მთავარი სათქმელის ამოცნობა;
აქტივობა 2. გამომხმარებელი წაკითხულ ტექსტზე;
აქტივობა 3. პიესის სტრუქტურაზე დაკვირვება, პიესის მახასიათებლების განხილვა, დიალოგი, მონოლოგი.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა მოხდება შემდეგ? როგორ შეიძლება გაგრძელდეს ტექსტი?
- როგორ გამოიყენებთ სიუჟეტის განვითარების საფეხურებსა და პიესის მოტივების ცოდნას თქვენს ნამუშევარში?
- რა მინიშნებები გამოვიყენო „ჩიტების გამომზატრებლის“ (სცენარის) გაგრძელების მოსაფიქრებლად?
- რას იტყვი შენ, როგორც ავტორი, ამის შემდეგ?
- როგორ დააკავშირებ შენს იდეას/ვერსიას შესწავლილ ტექსტთან?
- როგორ და რატომ შეიცვლებიან პერსონაჟები?

- რომელი ახალი პერსონაჟი/პერსონაჟები გეყოლება პიესაში და რას შეცვლიან ისინი?
- რით და როგორ უკავშირდება გაგრძელება მწერლის მთავარ სათქმელს?
- რამდენად და როგორ დამეხმარება სასვენი ნიშნები?

ნაბიჯი 3: რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნაშრომი (სიუჟეტის გაგრძელება) პიესაა (ჟანრი)?

რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ მიერ შექმნილი ეპიზოდი ორიგინალურია (ჟანრი, კომუნიკაცია, ენობრივი მხარე)?

- რესურსი 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი „ზუზუ“;
- რესურსი 2. სქემა - ტექსტი ამბობს / ფილმი ამბობს / მე ვფიქრობ - დანართი 6;
- რესურსი 3. საინფორმაციო ტექსტი “ 21-ე საუკუნის საუკეთესო სცენარი“- დანართი 7;
- რესურსი 4. ტექსტი საავტორო უფლებების საკითხზე - დანართი 8;
- რესურსი 5. საავტორო უფლებების ტექსტი - დანართი 9;
- რესურსი 6. თვითშეფასების ჩეკლისტი - დანართი 10.

- აქტივობა 1. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „ზუზუ“ ჩვენება;
- აქტივობა 2. ფილმისა და მოთხრობის შედარება - ტექსტი ამბობს/ფილმი ამბობს/მე ვფიქრობ;
- აქტივობა 3. საინფორმაციო ტექსტის „21-ე საუკუნის საუკეთესო სცენარი“ წაკითხვა;
- აქტივობა 4. საავტორო უფლებების ნორმების გაცნობა - მინილექცია (მასწავლებლის დამხმარე ტექსტი „საავტორო უფლებები“);
- აქტივობა 5. მოსწავლის ტექსტი საავტორო უფლებებზე;
- აქტივობა 6. სცენარის ახალი ეპიზოდის შექმნა;
- აქტივობა 7. კრიტერიუმების ბადეზე დაყრდნობით ნამუშევრის გაუმჯობესება.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი წიგნი, ანიმაცია ან ფილმი გამახსენა ამ ტექსტმა? რა მსგავსებაა-განსხვავებაა მათ შორის?
- როგორ ავაგო კონკრეტული ჟანრის ტექსტის შინაარსი? როგორ წარმოვაჩინო კონკრეტული ჟანრის (პიესის) მახასიათებლები?
- რა ნაბიჯები გადავდგა ეპიზოდის ტექსტის შესაქმნელად? რა თანამიმდევრობით?
- როგორ გადაჭრიდი ნაწარმოებში დასმულ პრობლემას?
- რა სტრატეგიები გამოიყენე დავალების შესრულებისას? რამდენად შედეგიანად გამოვიყენე ეს სტრატეგიები?
- როგორ მოვახდინო შთაბეჭდილება მსმენელზე/მკითხველზე, როგორ დავაინტერესო მკითხველი/მსმენელი?
- როგორ გავაუმჯობესო ჩემი პირველადი ნამუშევარი?
- გინდა, რომ შენი დაწერილი სცენა კლასში დაიდგას? რატომ? თუ არ გინდა, რატომ?
- დართავ თუ არა ნებას სხვა მოსწავლეებს, რომ შენი დაწერილი სცენა გაითამაშონ? რატომ?
- არის თუ არა ჩემ მიერ დაწერილი ეპიზოდი ინტელექტუალური საკუთრება?
- როგორ დავიცვა საავტორო უფლებები?
- ფილმის ავტორად ვინ ითვლება? როგორ არის დაცული ფილმის შემქმნელთა საავტორო უფლებები?
- რა სარგებელი მექნება სცენარის შექმნით?

შენიშვნა: შესაძლებელია მოსწავლეებმა შექმნან ავიშა, გადაინაწილონ როლები და გაითამაშონ სცენარი, წარმოადგინონ მათ მიერ დაწერილი ეპიზოდების შესაბამისი სცენარები - ეს კიდევ ერთი საინტერესო კომპლექსური დავალება იქნება მათთვის.

ჩიტების გამომზამთრებელი

რ. ინანიშვილი

თანამედროვე დაბალჭერიანი ბინა. მოკლედ ჩამოშვებული სამფინჯნიანი რძისფერი ქალი. პრიალა პარკეტი. პრიალა ავეჯი, წიგნები, ფოტოსურათი - გაღიმებულ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შუაში უზის ორი-სამი წლის კოპებშეკრული ბიჭი. შემოსასვლელ კართან - ჩუსტები, ფლოსტები. აცეტონისა თუ სკიპიდარის სუნი. ისმის ელექტროფონის ხმა. საშხარეულოდან გამოდის ორმოცი წლის დაბალი, რბილნაკვეთიანი ქალი. გზა-გზა იხსნის წითელ, გამჭვირვალე წინსაფარს, თედობთან ისწორებს კაბას, მერე - კეფაზე ფომფლო გორგლად დახვეულ თმას. კარის საკეტს გადასწევს. შემოვა შეჭალარავებული ჯმუხი მამაკაცი, გაზეთში გახვეული რაღაც უჭირავს. დალილი, ნაღვლიან თვალებს თითქოს არიდებენ ერთმანეთს.

ქალი: შენი გასაღები რა უყავი?

მამაკაცი: არ ვიცი, საწვიმრის ჯიბეში თუ ჩამრჩა.

ქალი: საწვიმარი მე დავაუთოვე და იქ არაფერი არ არის.

მამაკაცი: მაშინ დამიკარგავს.

ქალი: როგორ ადვილად ამბობ, „დამიკარგავს“?!

მამაკაცი: აბა, რა ვქნა, თმები დავიგლიჯო?

ქალი: შენ რაზე დაიგლეჯ, შენ არაფერზე არ დაიგლეჯ თმებს.

მამაკაცი: სკოლაში იყავი?

ქალს ეს შეკითხვა თითქოს არ გაეგონოს.

ქალი: ეგ რა არის?

მამაკაცი: რეიტუზი ვუყიდე.

ქალი: ვის უყიდე, ვის! მაგ დებილს, მაგ არანორმალურს? გგონია, რომ ესწრება ფიზკულტურას?

მამაკაცი: აბა, სად დადის?

ქალი: ჭირში და მოუსავლეთში მაგისი თავი, ჭირში! აივანზე ჯდება, მკლავები მუცელთან მიაქვს, იღუნება. მე არ შემიძლია! ჩადი შენ თვითონ, მამა ხარ, გარკვეული პასუხისმგებლობა გეკისრება, გააცდინე ეგ შენი სამსახური, დაეთხოვე, დააგვიანე... ციხიდან უშვებენ ხალხს და შენი სამსახური რა გახდა ისეთი! ჩადი, ბატონო, და შენ თვითონ გაიგე, სად დადის შენი დეგენერატი ვაჟიშვილი, რას სწავლობს, საერთოდ, თუ აკეთებს რამეს. რა ჭირზე ფიქრობს, გამოლენჩებული რომ ზის გაკვეთილზე. ჩადი, ბატონო, და შენი ყურით გაიგე, რას ლაპარაკობენ მასწავლებლები. მე აღარ შემიძლია. მეც ხომ ადამიანი ვარ! კარგი, ადამიანისა აღარ შემრჩა არაფერი, სულდგმული ხომ ვარ. აი, ვიკუნტები, ვიკრუნჩხები და ისე გევედრებით: მე აღარ შემიძლია, გავთავდი, მოვრჩი, ცოტა დამეხმარეთ!

მამაკაცი: შენ რომ ნამდვილი გაჭირვება შეგხვდეს, მაშინ რას იზამ?

ქალი: რას ეძახი ნამდვილ გაჭირვებას - შიმშილს? სიცივეს? უსახლკარობას? ფეხშიშველა სიარულს? ვაი, რა ბედნიერებაა, როცა გშია, სიცივით გაკანკალებს, მაგრამ არავინ დაგცინის!

მამაკაცი: მაგოდენებს, საბანი რომ ვერ დაუხურავთ თვითონ, ასტონიანი ტანკების შესაჩერებლად უშვებდნენ, ხშირად მარტო ბენზინით სავსე ბოთლების ანაბარა, იმათ დედებს რაღა უნდა ექნათ!

ქალი ერთხანს არაფერს ამბობს, ცხვირსახოცს ეძებს, გაჭირვებით იღებს პატარა ჯიბეში ჩაჭმულს, ტუჩებთან მიაქვს, იმ ცხვირსახოცში ლაპარაკობს.

ქალი: იმათ დედებს მოკრძალებით, შიშითაც კი შეჰყურებდნენ სხვა დედები, რომლებსაც ასეთი უბედურება არ დასტყდომოდათ თავს.

მამაკაცი: დიდი შეღავათია!

ქალი: ნამდვილად დიდი.

მამაკაცი: გადაირიე, ქალო?!

ქალი: როგორც გინდა, ისე იფიქრე!

მამაკაცი უყურებს და არაფერს ამბობს. გაზეთში გახვეულ რეიტუზს მაგიდაზე დადებს, გახსნის, ხმაშეცვლილი მობრუნდება.

მამაკაცი: ადექი, მაჭამე რამე, ლუკმა არ ჩამიდია დილას აქეთ.

ქალი ადგება, ცრემლების წმენდით, ცხვირის ხოცვით მიდის სამზარეულოსაკენ.

ქალი: ფეხსაცმელი გაიხადე, ფლოსტები ხომ აწყვია კართან!

მამაკაცი ფეხსაცმელს იხდის, მაგიდაზე გაშლილ რეიტუზს ისევ შეახვევს.

მამაკაცი: ექვსი მანეთი ღირს, განა მეტი! ამირანი შემხვდა, გოგო ისევ საავადმყოფოში სწოლიათ. ახლა გვერდში წყალი ჩასდგომია. გაგიჟებული იყო საწყალი.

ქალი: ვანო არ ჩამოსულაო, რა თქვა?

მამაკაცი: წამლები გამოუგზავნია. კარგი იქნება, მოგვეხერხებინა და გვენახა ბავშვი. აქვე სწოლიათ, ბორჯომის ქუჩაზე.

ქალი: ჩემი შვილების ხელში მე ყველაფერს ვარ გამორჩეული, ნათესავებსაც და მოკეთებებსაც.

მამაკაცი ზეზეურადვე იღებს მწვანეფოჩიან ბოლოკს.

მამაკაცი: შენ რა, ისადილე?

ქალი: ისე ისადილოს, განგიას გასაგისმა!

მამაკაცი: შენ რომ შიმშილით მოიკლავ თავს, განგიას გაუხეთქავ გულს?! მაინც რა გითხრა ასეთი?

ქალი: იმან არ მითხრას, მე არ ვიცი, რა უბედურებაც ტრიალებს ჩემს თავს?! საკონტროლოებში ორი, გეომეტრიაში ზედიზედ სამი ორი, ქიმიაში ორი, ქართული როა, ქართულშიც კი ორი აქვს მიღებული!

მამაკაცი: ახლა სად არი?

ქალი: ჯანდაბაში იმის თავი! მამიდასთან წაეთრა. შემიყვანეს, როგორც უკანასკნელი დებილი, დამაჭერინეს კალამი, მომიკიდეს ხელი და ისე დამაწერინეს ხელწერილი: ერთი ორიანიც რომ მიიღოს კიდევ, პროფსასწავლებელში უნდა გადავიყვანოთო.

მამაკაცი: ვინ თქვა ეგა?

ქალი: რა ვინ თქვა, დადგენილება ყოფილა.

მამაკაცი: ვინ თქვა ეგ?

ქალი: დირექტორმაც, ყველამ.

მამაკაცი ჩანგალს თევზზე დადებს, ხელებს ჯიბეებში ჩაიყოფს და სკამის საზურგულს მიაწვება.

მამაკაცი: სადამდე მიდის ჩვენი უგუნურება! თან პროპაგანდას ვუწევთ, თან ჩვენ თვითონ ვაცხადებთ პროფსასწავლებლებს სასჯელის მოსახდელ ადგილებად. ჩვენ თვითონ ვეუბნებით ბავშვებს, საშინელ დღეში ჩავარდებიან, თუ პროფსასწავლებლებში მოხვდნენ.

ქალი: თორემ ასე არ არის, ასეა!

მამაკაცი: არ არის, არა! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ეროვნულ უბედურებად იქცა კაბინეტებისაკენ სწრაფვა! ყველას უნდა, რომ მას ემსახურობდნენ, ყველას უნდა, რომ თეთრი, ფაფუკი ხელები ჰქონდეს!.. მამაკაცებს, დღეში რომ სამ კილო ხორცსა და ათ ბოთლ ღვინოს ნთქავენ, თეთრი ხელები უნდათ, თეთრი ხელები და თეთრი ტელეფონი. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მუცლები მოგვექცა თავზე!

ქალი: მე ვერაფერს ვხედავ ჩემი ოჯახის მეტს. სანამ აქ მექნება მოსაგვარებელი რამე, არავითარი საქმე არა მაქვს გარეთ.

მამაკაცი: ეგ არის ყოველგვარი უკულმართობის სათავე - ჩემი ოჯახი, ჩემი გეგა, ჩემი სალაფავი და შიგ ყურებამდე ჩაფლული თავი, რომ სხვამ არ ჩაგვიკრას დინგი.

ქალი ზურგს შეუბრუნებს და მხრის ზემოდან გადაუგდებს სათქმელს.

ქალი: შექამე ეგ კერძი, გაიყინა და გალეღეჩდა.

მამაკაცი ჩანგალს აიღებს, თან ნერვიულად ელიმება.

მამაკაცი: ესეც უბედურებაა - გაციებული კერძი, უუჰ, რა უბედურებაა!

ქალი: შენთვის ყველაფერი ეგეთია - კერძიც, სახლიც და ყველაფერი.

მამაკაცი: დავჯდე და თქვენ გიყუროთ, არა, თვალბეჭეში?! პირი დაიბანეთ, კბილები დაიხეხეთ, ფეხსაცმელი დაიწმინდეთ, იატაკი არ დაანაგვიანოთ, გაკვეთილები ჩამაბარეთ! სულიწმინდა დაგვარჩენს?!

ქალი: ვინ გთხოვს მაგას?

მამაკაცი: აბა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, რით დავიწყო?!

ქალი: შიში ჩაუნერგე ბავშვებს, ჩაუნერგე, რომ, რაც გასაკეთებელი აქვთ, უნდა გააკეთონ, თუ არ გააკეთებენ...

მამაკაცი: ყელები დავჭრა, არა?!

ქალი: არ შეიძლება შენთან ნორმალური ლაპარაკი!

მამაკაცი: რა არის ამაში არანორმალური! შენ მეუბნები, ბავშვებს ჩავუნერგო შიში, ჩავუნერგო, რომ, რაც გასაკეთებელი აქვთ, უნდა გააკეთონ, თუ არ გააკეთებენ, მე გეკითხები, რა ვქნა-მეთქი?! თუ არ გააკეთებენ, ყელები დავჭრა ამ უძღურებს, უკან-უკან რომ იწევენ ყოველ წამს და ჩვენ ანტიბიოტიკებით ვექაჩებით ჩვენკენ? რა არის ამ კითხვაში არანორმალური?!

ქალი: დამანებე თავი!

მამაკაცი: ვცემო? გარეთ გავყარო? ვუთხრა, რომ მათ მამობაზე ხელს ვიღებ? ბოლმამ არ დაახრჩოს! ამ წიგნების, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით იმდენი სანიმუშო მამა დაეხეტება ჩვენს ბინაში, იქნებ ეს იამოვნოთ კიდევ, რომ ჩამოვცილდე ეს დაკუთხული, დიდცხვირა, დიდყურება კაცი.

ქალი აღარაფერს ამბობს. მაგიდისაკენ დახრილი ჭამს. გაიღება კარი. შემოდის გაღიმებული თხუთმეტი წლის ბიჭი. მაღალია, წვრილი, მხრებში მოხრილი. გრძლად გაშვებული სქელი თმა კიდევ უფრო უპატარაებს ისედაც პატარა, სიგამხდრისაგან ჩამუქებულ, ჩატეტკილ სახეს. გაბერილი ქალადის პარკი უკავია მკერდთან. მთელი სხეულით მოაქვს გასახარი ამბავი. დიდხანს იწმენდს ფეხებს.

ბიჭი: ფანჯრები დაკეტილია?

ქალი და მამაკაცი შემკრთალი თვალებით შეპყურებენ ერთმანეთს.

ბიჭი: ჩიტბატონები ვიყიდე, მთლად იაფად. გამოვაზამთრებ და გაზაფხულზე გავუშვებ.

პარკს პირს მოხსნის და ჩიტბატონებს ამოაფრენს. ისინი ფრთხილით, რიკრიკით, წითელ-ყვითელი ფერების თახთახით დაფრინავენ ოთახში. ბიჭი ქვემოდან შესცქერის და ბედნიერებით უბრწყინავს სახე. ქალი წამოვარდება, საკუჭნაოდან იატაკის საწმენდ ჯოხს გამოიტანს და ჩიტებს გამოედევნება.

ბიჭი: არ დაარტყა! არ დაარტყა!

ქალი: გამეცალე, თორემ შენ გაგიხეთქავ თავს.

ბიჭი: მამა, არ დაარტყას, მამა!

მამაკაცი ჭამს, თევზს ჩაჰყურებს. ქალი ერთ ჩიტს მისწვდება და კედელზე მიაჩეჩევს, დასდევს მეორე ჩიტსაც.

ბიჭი: დედა! მამა! დედა!

ქალი: გამეცალე!

ქალი იმ მეორე ჩიტსაც მისწვდა, აჭყვივლებული მიასრისა კუთხეში.

ბიჭი: კარგი, დედა!

დიდი, საბრალობელი თვალები ცრემლებით აქვს სავსე. მიდის, ჯერ ერთ ჩიტს აიღებს უმწეო ფრთებით, მერე - მეორეს. დგას ჩიტებით ხელში, თითქოსდა ფეხებდაუძლურებული. მერე უცნაური ლაყუნით მიდის, სანაგვე ყუთში ყრის.

ბიჭი: კარგით! კარგით!

ფერდაკარგული ქალი იატაკის საწმენდ ჯოხს საკუჭნაოში შეიტანს და კარს ღონივრად გამოხურავს.

მამაკაცი ხმას არ იღებს.

დანართი 2. სიუჟეტის განვითარების სქემა „თავიდან-მერე-ბოლოს“

მოსწავლე: _____

თარიღი: _____

ტექსტის სათაური: _____

რა მოხდა დასაწყისში?

რა მოხდა შუა ნაწილში?

რა მოხდა ბოლოს?

დანართი 3. პერსონაჟის რუკა

მოსწავლე: _____

თარიღი: _____

ტექსტის სათაური: _____

პერსონაჟის რუკა

პერსონაჟის აღწერა

*როგორ გამოიყურება? რა აცვია?
ვის ჰგავს?*

პერსონაჟის მოქმედებები


რას აკეთებს? როგორ იქცევა?

პერსონაჟის გრძნობები

რას გრძნობს? რა განცდები აქვს?

პერსონაჟის ფიქრები

რაზე ფიქრობს? რა აზრები აქვს?



პერსონაჟის მიზნები

*რა სურს? რის მიღწევას
ცდილობს? რა მიზანი აქვს?*

დანართი 4. სიუჟეტისა და კონფლიქტის ანალიზის სქემა

მოსწავლე: _____

თარიღი: _____

ტექსტის სათაური: _____

სიუჟეტისა და კონფლიქტის ანალიზი

რა იყო მთავარი პრობლემა პიესაში? _____

რამ გამოიწვია ეს პრობლემა? _____

როგორ გამოვლინდა ეს პრობლემა? _____

როგორ გადაწყდა პრობლემა? _____

მონიშნე ერთი ან რამდენიმე

პერსონაჟის შესაძლო კონფლიქტები

ბუნებასთან

საკუთარ თავთან

საზოგადოებასთან

სხვა პერსონაჟებთან

დანართი 5. გამოხმაურება წაკითხულ ტექსტზე

მოსწავლე: _____

თარიღი: _____

გამოხმაურება წაკითხულ ტექსტზე

მაინტერესებს, რატომ _____

მე დავფიქრდი _____

მე ვიცი, რასაც გრძნობს _____

მე ვერ წარმომიდგენია _____

მე რომ მშობლების ადგილას ვიყო _____

დანართი 6. სქემა „ტექსტი ამბობს / ფილმი ამბობს / მე ვფიქრობ...“

მოსწავლე: _____

თარიღი: _____

ტექსტი ამბობს/ფილმი ამბობს/მე ვფიქრობ

	ტექსტი ამბობს	ფილმი ამბობს	მე ვფიქრობ
დასაწყისში			
შუა ნაწილში			
ბოლოს			

21-ე საუკუნის საუკეთესო სცენარი

ამერიკელი სცენარისტების გილდიამ (WGA) გამოაქვეყნა 21-ე საუკუნის 101 საუკეთესო სცენარის სია, რომლის სათავეშიც ჯორდან პილის საშინელებათა ჟანრის *Get Out* (თავს უშვებლე) მოექცა.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. *Get Out* (თავს უშვებლე) — სცენარისტი ჯორდან პილი
2. *Eternal Sunshine of the Spotless Mind* (ნათელი გონების მარადიული ბრწყინვალება) — სცენარისტი ჩარლი კაუფმანი
3. *The Social Network* (სოციალური ქსელი) — სცენარისტი აარონ სორკინი
4. *Parasite* (პარაზიტი) — სცენარისტი ბონგ ჯუნ ჰო და ჰან ჯინ უონი
5. *No Country for Old Men* (მოხუცების ადგილი აქ არ არის) — სცენარისტები ჯოელ და ითან კოენები
6. *Moonlight* (მთვარის შუქი) — სცენარისტი ბარი ჯენკინსი
7. *There Will Be Blood* (სისხლი დაიღვრება) — სცენარისტი პოლ თომას ანდერსონი
8. *Inglourious Basterds* (უსახელო ნაბიჭვრები) — სცენარისტი კვენტინ ტარანტინო
9. *Almost Famous* (თითქმის ცნობილი) — სცენარისტი კამერონ კროუ
10. *Memento* (გახსოვდეს) — სცენარისტი კრისტოფერ ნოლანი

აღნიშნული ფილმების უმეტესობამ თავის დროზე ოსკარის ჯილდოც მოიპოვა ორიგინალი ან ადაპტირებული სცენარის ნომინაციებში.

2018 წელს ჯორდან პილმა ოსკარი მიიღო *Get Out*-ის სცენარისთვის და პირველი აფროამერიკელი გახდა, ვისაც ორიგინალი სცენარის ნომინაციაში გაუმარჯვია.



ფოტო: Rob Latour/REX/Shutterstock

ამერიკელი სცენარისტების გილდიის მიერ შედგენილ 101 „ყველაზე დიდებულ“ სცენარისტებს შორის სამჯერ მოხვდა კვენტინ ტარანტინო ფილმებით „უსახელო ნაბიჭვრები“ (8), „ერთხელ ჰოლივუდში“ (22) და „ჯანგო“ (74).

საუკეთესოთა შორის ასევე დასახელდა პოლ თომას ანდერსონის სამი სცენარი: „სისხლი დაიღვრება“ (7), „ოსტატი“ (84) და „უხილავი ძაფი“ (87). სრული სია შეგიძლიათ იხილოთ ამ [ბმულზე](#).

რა არის საავტორო უფლება?

საავტორო უფლება არის ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული უფლება, რომელთანაც მასწავლებლებს და მოსწავლეებს ყველაზე ხშირი შეხება აქვთ. ამა თუ იმ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მოსაპოვებლად ნაწარმოები უნდა იყოს **ორიგინალური**. თუკი ვინმე შექმნის რაიმე ორიგინალურს, ანუ მსგავსი რამ არავის შეუქმნია, ეს ადამიანი ერთადერთია, ვისაც შეუძლია ამ პროდუქტის კოპირება, საჯაროდ შესრულება ან გამოქვეყნება, თუკი ამის ნებართვა ვინმესთვის არ აქვს მიცემული. ნაწარმოები ორიგინალურია, თუ მასში ასახულია ავტორის პიროვნული სამყარო და გამოხატულია მისი თავისუფალი, შემოქმედებითი გადაწყვეტები. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი მხატვარი, რომლებიც ერთდროულად ხატავენ ერთსა და იმავე საგანს - მიუხედავად იმისა, რომ საგანი ერთია, მათი ნამუშევრები აუცილებლად განსხვავებული იქნება.



ბევრ თქვენთაგანს დავალების შესრულებისას გამოუყენებია ინტერნეტიდან აღებული, საავტორო უფლებებით დაცული ფოტო; ალბათ ყველას ჩამოუტვირთავს ფილმი, სიმღერა ან, სულაც, რაიმე ტექსტი... ეს ქმედებები საავტორო უფლების კანონმდებლობის სფეროში ექცევა. საავტორო უფლებები იცავს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს. ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნება ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში შექმნილი ყველა ნამუშევარი გამოსახვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორცაა:

- ✓ ლიტერატურული ნაწარმოებები: წიგნები, ბროშურები, სტატიები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები;
- ✓ დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები;
- ✓ ქორეოგრაფიის, პანტომიმის და სხვა სასცენო ნაწარმოებები;
- ✓ ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებები;
- ✓ აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოებები;
- ✓ სახვითი ხელოვნების, ფერწერული, სკულპტურული ნაწარმოებები, გრაფიურა და ლითოგრაფია; თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები;
- ✓ ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოებები;
- ✓ დეკორატიული, გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებები;
- ✓ რუკები, გეგმები, ესკიზები, ილუსტრაციები და სხვა მსგავსი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს;
- ✓ არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის და საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოებები;
- ✓ გადამუშავებული ნაწარმოებები, კერძოდ, თარგმანი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების სხვაგვარი გადამუშავება;
- ✓ შედგენილი ნაწარმოებები, კერძოდ, კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენენ;
- ✓ კომპიუტერული პროგრამები;
- ✓ სხვა ნაწარმოებები.

რა არ არის დაცული საავტორო უფლების შესახებ კანონით?

- ✓ ნაშრომები, რომლებიც არ დაწერილა ან არ ჩაწერილა (თქვენი მოთხრობები თუ წერილობითი ფორმით არ არის შექმნილი, საავტორო უფლება დაცული არაა);
- ✓ იდეები, პროცედურები, მეთოდები, აღმოჩენები;
- ✓ საჯარო კუთვნილებაში არსებული მასალები (ყველა ნაშრომი, რომლის გამოყენებაც ყველას შეუძლია. ასეთებია 1923 წლამდე შექმნილი ნაშრომები და 1923-1963 წლებში შექმნილი ნაშრომების უმეტესობა).
- ✓ ოფიციალური დოკუმენტები (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალური თარგმანები;
- ✓ სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლიკები (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);
- ✓ ინფორმაცია ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

საავტორო უფლება იცავს ადამიანის მიერ შექმნილ რეალურ ნაწარმოებს და არა ნაწარმოების იდეას.

ვინ შეიძლება იყოს საავტორო უფლების მფლობელი?

ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელია ნაწარმოების ავტორი. საავტორო უფლებები ავტორის გარდაცვალების შემდეგ გადადის მის, მემკვიდრეებზე. საავტორო უფლებები შეიძლება გადაეცეს სხვა უფლებამონაცვლესაც (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი).

ნაწარმოების სახეობის შესაბამისად, ავტორი შეიძლება იყოს მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი, არქიტექტორი და სხვ.

ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებები ერთობლივად ეკუთვნით თანაავტორებს.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში ავტორებად მიიჩნევიან დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისთვის.

როგორია საავტორო უფლების მოქმედების ვადა?

საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და 70 წელი მისი გარდაცვალებიდან;

თუ ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა მოხდა ფსევდონიმით ან ანონიმურად, საავტორო უფლებები მოქმედებს ამ ფაქტის მართლზომიერად დადგომის დღიდან 70 წლის განმავლობაში;

თანაავტორების ან აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში, საავტორო უფლებები მოქმედებს უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში;

ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ.

საავტორო უფლებების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ნაწარმოები შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა ჰონორარის გადახდის გარეშე.

რა არის საჭირო საავტორო უფლების წარმოშობისთვის?

საავტორო უფლება ნაწარმოებზე წარმოიშობა მისი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა (მაგალითად: ხელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი, ნოტები, ჩანაწერი, ნაწარმოების საჯაროდ წარმოთქმა (დეკლამირება) და სხვ.).

საავტორო უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალუბების დაცვა. პირი, რომელიც ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე სათანადო წესითაა აღნიშნული, როგორც ავტორი, მიიჩნევა ამ ნაწარმოების ავტორად, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ იქნება დასაბუთებული.

როგორ იცავს საავტორო უფლებები ნაწარმოებს?

ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელია ნაწარმოების ავტორი. საავტორო უფლებები ავტორის გარდაცვალების შემდეგ გადადის მის მემკვიდრეებზე. ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებები ერთობლივად ეკუთვნით თანაავტორებს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში ავტორებად მიიჩნევიან დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისთვის.

კანონი საავტორო უფლებების შესახებ ავტორს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას თავად განსაზღვროს, ვის და რა პირობებით შეუძლია გამოიყენოს მისი ორიგინალური ნაწარმოები. ავტორს აქვს უფლება აკონტროლოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება, მისი საჯაროდ გადაცემა, თარგმნა, ადაპტაცია, გავრცელება და გაყიდვა. ის ავტორს სთავაზობს გრძელვადიან დაცვას ანაზღაურების მიხედვით და ამავე დროს უზრუნველყოფს, რომ გარდაცვალების შემდეგ მისმა ოჯახმა შეძლოს ნაშრომიდან მიიღოს მატერიალური სარგებელი.

აირჩიეთ სწორი პასუხი თითოეული კითხვისთვის.

1. არის თუ არა საავტორო უფლებების დარღვევა, თუ სხვის ვებგვერდზე განთავსებულ სურათს დააკოპირებთ და განათავსებთ საკუთარ ვებსაიტზე/ბლოგზე?
 - a) დიახ
 - b) არა
2. ჩამოთვლილთაგან რომელში არ ირღვევა საავტორო უფლებები?
 - a) მასწავლებელმა გააკეთა მოსწავლეების მიერ შექმნილი ნახატის ფოტოასლი და შემდეგ 25 ეგზემპლარი გაავრცელა მთელს კლასში;
 - b) მასწავლებელმა დაასკანირა ნახატი და განათავსა საკუთარ ვებსაიტზე/ბლოგზე;
 - c) მასწავლებელმა კონფერენციაზე წარსადგენად შექმნა PowerPoint-ის პრეზენტაცია, რომელშიც გამოიყენა ნახატი ავტორის ნებართვის გარეშე.
3. შენ დაწერე მოთხრობა და აპირებ ხმამაღლა წაიკითხო კლასში. რა მომენტიდან ვრცელდება მასზე კანონი საავტორო უფლებების შესახებ?
 - a) მას შემდეგ რაც წაიკითხავ მოთხრობას ხმამაღლა კლასში;
 - b) მას შემდეგ რაც დაარეგისტრირებ მას ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში;
 - c) მას შემდეგ რაც მოთხრობის ტექსტს დაწერ ფურცელზე;
 - d) მას შემდეგ რაც საავტორო უფლების სიმბოლოს განათავსებ მოთხრობის პირველი გვერდის ბოლოში.
4. ჩამოთვლილთაგან რომელია საზოგადო საკუთრება?
 - a) წიგნი რომელიც დაიბეჭდა 1980 წელს და რომლის ავტორიც გასულ წელს გარდაიცვალა;
 - b) კომპიუტერული პროგრამის საცდელი ვერსია;
 - c) სიმღერა „Happy Birthday“;
 - d) საქართველოში მოქმედი კანონები შექმნილი 1998 წლიდან.
5. გიორგი მასწავლებლის მოსწავლეების საყვარელი წიგნია „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“. მოსწავლეების მეტად დაინტერესების მიზნით, გიორგი მასწავლებელმა მისცა მათ დავალება დაეწერათ მოთხრობები წიგნის პერსონაჟებზე დაყრდნობით. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვის“ ავტორის რომელი უფლებაა დარღვეული ამ მოთხრობების შექმნით?
 - a) საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევრის ასლის ან აუდიოჩანაწერის სახით გამრავლების უფლება
 - b) საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევრის მიხედვით გადამუშავებული ნამუშევრის შექმნის უფლება
 - c) საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევრის ასლის ან აუდიოჩანაწერის სახით გავრცელება საჯაროდ, გაყიდვის ან გაქირავების გზით
 - d) საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევრის საჯაროდ შესრულების უფლება

დანართი 10. თვითშეფასების ჩეკლისტი

ჩემ მიერ შექმნილ ეპიზოდში:

- შევცვალე პერსონაჟების ფიქრები, ქცევა, ემოცია, მეტყველება, დამოკიდებულებები;
- შემოვიყვანე ახალი პერსონაჟი/პერსონაჟები;
- წარმოვაჩინე, რა დიალოგები გაიმართებოდა მათ შორის;
- განვმუხტე ოჯახში არსებული კონფლიქტი;
- სწორად დავსვი სასვენი ნიშნები;
- გავითვალისწინე პიესის დამახასიათებელი სტილი, სტრუქტურა.
- ჩემ მიერ შექმნილი ეპიზოდი უკავშირდება პიესის მთავარ იდეას და განავრცობს მას.
- ჩემ მიერ შექმნილი ეპიზოდი ორიგინალურია.

ორი დადებითი შეფასება ჩემი ნაშრომის შესახებ:

ორი რეკომენდაცია ჩემი ნაშრომის შესახებ:

სხვა იდეები და კომენტარები:

საბოლოოდ რას გავითვალისწინებ:
